თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №გ-131. 131232571

2023 წლის 14 სექტემბერი

დ. თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის ადმინისტრაციული ერთეულის დაბა თიანეთში შოთა რუსთაველის ქუჩის ბოლოს მიერთებული უსახელო ქუჩის გასასვლელისთვის, შოთა რუსთაველის ქუჩის III გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 24 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისი №239 დადგენილების თანახმად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის ადმინისტრაციული ერთეულის დაბა თიანეთში შოთა რუსთაველის ქუჩის ბოლოს მიერთებული უსახელო ქუჩის გასასვლელს დაერქვას შოთა რუსთაველის ქუჩის III გასასვლელის სახელი თანდართული რუკის მიხედვით.

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სასამართლოში შემდეგ მისამართზე: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №47.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი **სოსო მამულაშვილი**